

ეთიკის კომისიის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა
დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის შესახებ

მეოთხე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ემზარ პაქსაძე – კოლეგიის თავმჯდომარე
იური ვაზაგაშვილი – კოლეგიის წევრი
ირაკლი კორძახია – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი – თბილისის საქალაქო სასამართლო

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 04.10.10

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 076/10

ადვოკატი, რომლის მიმართაც არის საჩივარი შემოტანილი – თ. წ., სიითი №

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ თ. წ.-სთვის ადვოკატთა დისციპლინური წარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება.

საპროცესო კოლეგიამ გასაუბრებაზე გამოცხადებულ მხარეებს განუმარტა დამატებითი მტკიცებულებების, შუამდგომლობებისა და სხვა მასალების წარმოდგენის შესაძლებლობების თაობაზე, ადვოკატთა დისციპლინური წარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ დებულების შესაბამისად.

აღწერილობითი ნაწილი

1. საჩივრის ავტორის პოზიცია

1.1. 2010 წლის 4 ოქტომბერს თბილისის საქალაქო სასამართლომ მომართა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას და მოითხოვა ადვოკატ თ. წ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2. თბილისის საქალაქო სასამართლო საჩივარში აღნიშნავს, რომ ადვოკატ თ. წ.-ს მიერ 2010 წლის 30 სექტემბერს მოსამართლე ნ. დ.-ს სახელზე შეტანილი იქნა შუამდგომლობა, სადაც ადვოკატი შეურაცმყოფელი ფორმით აშკარად გამოხატავს მოსამართლისადმი უპატივცემულობას.

1.3. შუამდგომლობა შეეხება მოსამართლის აცილების საკითხს. ადვოკატის შუამდგომლობაში მოცემულია მოსამართლის მიმართ შემდეგი მიმართვები: „არღვევთ ადამიანის უფლებების ფიცს და სასამართლო გგონიათ სავაჭრო დაწესებულება“; „არ გაითვალისწინეთ მხარის მატერიალური მდგომარეობა და ყველა თქვენსავით მდიდარი გგონიათ“; „მიიღეთ უუნარო გადაწყვეტილება და დაარღვიეთ კანონი განზრახ, საზოგადოებაში დამკვიდრებული რაღაც საცოდავი მოსაზრებების გამო“.

1.4. შუამდგომლობის დასკვნით ნაწილში მოცემულია: „მსურს გაითვალისწინოთ, რომ სამი წელია სისხლის სამართლის სპეციალობით ვეწევი საადვოკატო საქმიანობას და მსგავსი მასშტაბის უსამართლო და დარდიმანდული დამოკიდებულება ადამიანის უფლებების მიმართ არ მახსოვს არც ერთი მოსამართლისაგან“.

1.5. თბილისის საქალაქო სასამართლო საჩივარში აღნიშნავს, რომ აღნიშნული შინაარსის შუამდგომლობის წარდგენის გამო ადვოკატს უნდა დაეკისროს დისციპლინური პასუხისმგებლობა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

2. ადვოკატ თ. წ.-ს განმარტების მიხედვით:

ადვოკატ თ. წ.-თან გასაუბრება შედგა 2010 წლის 12 ოქტომბერს, რა დროსაც მან წარმოადგინა ახსნა-განმარტება და წერილობით უპასუხა დისციპლინური კოლეგიის წევრების კითხვებს.

2.1. ადვოკატის განმარტების მიხედვით, 2010 წლის 30 სექტემბერს მიმართა მოსამართლე ნ. დ.-ს შუამდგომლობით აცილების თაობაზე.

2.2. ადვოკატის განმარტების მიხედვით, შუამდგომლობის საფუძველს წარმოადგენდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 29 სექტემბრის განჩინება, რომლითაც ადვოკატის სარჩელი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერების თაობაზე განუხილველად იქნა დატოვებული. აღნიშნულ განჩინებას მოსამართლე ნ. დ. აწერს ხელს. ადვოკატის განმარტების მიხედვით, მის მიერ წარდგენილ შუამდგომლობაში სასამართლოს მიმსგავსება „სავაჭრო დაწესებულებასთან“ გამოწვეული იყო იმ მიზეზით, რომ სასამართლოში არსებული დავა შეეხებოდა ფინანსურ საკითხებს. კერძოდ: 2010 წლის 26 აგვისტოს საჯარიმო ქვითრის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმის №ბდ XXXXXX ბათილად ცნობასა და გასაჩივრებული აქტის მოქმედების შეჩერებას, რომელის დაკმაყოფილება მხარეს ფინანსური ზიანისაგან დაიცავდა.

2.3. ადვოკატი განმარტავს, რომ სავაჭრო დაწესებულებებთან ადამიანის ურთიერთობა უკავშირდება ფინანსურ ურთიერთობებს, ხოლო სასამართლოსადმი მიმართვის უფლება ყველასთვის ხელმისაწვდომია და არ უნდა იყოს დაკავშირებული ფინანსურ სიძნელეებთან. მისმა დაცვის ქვეშ მყოფმა არ გაასაჩივრა თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინება, რადგან კერძო საჩივარზე გადასახდელი ბაჟი არის 50 ლარი და დავის ღირებულება წარმოადგენდა 200 ლარს, რაც კლიენტისათვის ფინანსურად არ იყო სასარგებლო. ამასთანავე, ჯარიმით დაკისრებული თანხის გადაუხდელობის გამო მის

კლიენტს დაეკისრებოდა დამატებით საურავი 500 ლარის ოდენობით, რაც მხარეს დააზარალდებოდა ფინანსურად.

2.4. თ. წ.-ს განმარტებით, მოსამართლე ნ. დ.-ს აცილების საკითხი და მის მიერ მოსამართლის კრიტიკა გამომდინარეობდა მისი დაცვის ქვეშ მყოფი პირის ინტერესებიდან. მოსამართლის მიერ გამოტანილი განჩინება მისი დაცვის ქვეშ მყოფი პირისათვის ფინანსურად ძალიან მძიმე იყო, რადგან არ ჰქონდა ჯარიმის გადასახდელი თანხა და ფსიქოლოგიურად მისთვის მძიმე იქნებოდა სასამართლო პროცესზე აღნიშნული გადაწყვეტილებების მიმღები მოსამართლის ხილვა. ადვოკატი განმარტავს, რომ მოსამართლე ნ. დ. დაცვის ჰარმონიულად განიხლვის მიზნით უნდა აცილებოდა საქმეს.

2.5. ადვოკატი ახსნა-განმარტებაში აღნიშავს, რომ სასამართლოს განჩინების გაცნობის შემდეგ წარმოქმნილი ემოციური ფონი იყო მაღალი, რადგან თავისი დაცვის ქვეშ მყოფი პირის ინტერესები აღელვებდა. შესაბამისად, ამით იყო განპირობებული მის მიერ წარდგენილი შუამდგომლობის კრიტიკული შინაარსი.

2.6. ადვოკატი განმარტავს, რომ მის მიერ წარდგენილი შუამდგომლობის მიზანი არ იყო სასამართლო ხელისუფლებისა და კონკრეტულად მოსამართლე ნ. დ.-ს შეურაცყოფა. ადვოკატი აღნიშნავს, რომ მან თავისი მოსაზრება გამოხატა აშკარად და საწინააღმდეგო, კრიტიკული მოსაზრება ყოველთვის მტკივნეული მოსასმენია.

სამოტივაციო ნაწილი

1. საქმის ფაქტობრივი გარემოებები

1.1. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

1.1.1. ადვოკატი თ. წ. 2006 წლის 15 სექტემბრიდან არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი /სიითი №/. მისი წევრობა არ არის შეჩერებული, ასევე ის არ არის გარიცხული საქართველოს ადვოკატთა ასოციაციიდან.

1.1.2. თბილისის საქალაქო სასამართლომ ეთიკის კომისიაში საჩივარი შემოიტანა 2010 წლის 4 ოქტომბერს.

1.1.3. ადვოკატმა თ. წ.-მ შუამდგომლობა მოსამართლე ნ. დ.-ს აცილების თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოში წარადგინა 2010 წლის 30 სექტემბერს.

1.1.4. სადავო ქმედება განხორციელებულია ზემოთ აღნიშნული შუამდგომლობის შეტანით, 2010 წლის 30 სექტემბერს. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისთვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა – 3 წელი.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 4 ოქტომბრის საჩივარი. (1-ლი გვ, მე-2 აბზაცი);

2. ადვოკატ თ. წ.-ს შუამდგომლობა. (1-ლი გვ; მე-4 აბზაცი);
3. ადვოკატ თ. წ.-ს 2010 წლის 12 ოქტომბრის ახსნა-განმარტება. (1-ლი გვ; 1-ლი აბზაცი);

1.2. უდავო ფაქტობრივი გარემოებები

1.2.1. თბილისის საქალაქო სასამართლომ 2010 წლის 29 სექტემბერს მიიღო განჩინება გ. დ.-ის წარმომადგენლის თ. წ.-ს შუამდგომლობის (2010 წლის 26 აგვისტოს საჯარიმო ქვითრის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმის №ბდ X მოქმედების შეჩერება) განუხილველად დატოვების თაობაზე.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 29 სექტემბერის განჩინება;

1.2.2. ადვოკატ თ. წ.-ს შუამდგომლობაში მოსამართლისთვის მიმართულია შედეგი ფრაზებით „სასამართლო გგონიათ სავაჭრო დაწესებულება“, „ყველა თქვენსავით მდიდარი გგონიათ“, „უსამართლო და დარდიმანდული დამოკიდებულება გაქვთ ადამიანის უფლებების მიმართ“, „დაარღვიეთ კანონი განზრახ“, „მიიღეთ უუნარო გადაწყვეტილება“ .

წარმოდგენილია შემდეგი მტკიცებულებები:

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 4 ოქტომბრის საჩივარი. (1-ლი გვ, მე-2 აბზაცი);
2. ადვოკატ თ. წ.-ს 2010 წლის 12 ოქტომბრის ახსნა-განმარტება. (მე-2 გვ, მე-5 აბზაცი).

2. შემაჯამებელი დასკვნა:

საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ თ. წ.-ს მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლითა და ადვოკატთა დისციპლინური წარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ დებულების მე-9 მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

3. სამართლებრივი შეფასება.

3.1. საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ თ. წ.-ს 2010 წლის 30 სექტემბრის შუამდგომლობაში მოცემული მიმართვები ხვდება ადვოკატის გამოხატვის თავისუფლებით დაცულ სფეროში და არ წარმოადგენს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-9 მუხლის 1-ლი ნაწილის შესაძლო დარღვევას, რომლის თანახმად ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს სასამართლოში მოქმედ ქცევის წესებს.

3.2. სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება დაცულია საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის 1-ლი ნაწილისა და 24-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, თუმცა იგი ექვემდებარება ამავე მუხლებით დადგენილ უფლების შეზღუდვის საფუძველებს.

3.3. საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის 1-ლი ნაწილი ადგენს, რომ „ყოველ ადამიანს აქვს სიტყვის... თავისუფლება“. საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლით აღიარებულია ყველა ადამიანის უფლება „თავისუფლად გამოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით და სხვა საშუალებით“. საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება შეიძლება შეიზღუდოს სასამართლო ხელისუფლების ინტერესებიდან გამომდინარე.

3.4. საპროცესო კოლეგია თვლის, რომ ადვოკატები სხვა მოქალაქეების მსგავსად სარგებლობენ გამოხატვის თავისუფლებით. მათ უფლება აქვთ გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები და შეხედულებები მართლმსაჯულების განხორციელების პროცესის თაობაზე იმ „მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების“ გათვალისწინებით, რომელსაც მათი პროფესია აკისრებთ.

3.5. საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატის შუამდგომლობა მოიცავს ადვოკატის მოსაზრებებს მოსამართლე ნ. დ.-ს მიერ განხორციელებული სამართალწარმოების მიმართ („დაარღვიეთ კანონი განზრახ“, „მიიღეთ უუნარო გადაწყვეტილება“, „საჩივარი ვერ დააკმაყოფილეთ უსაფუძვლობის გამო“) და სამართალწარმოების საფუძველზე ჩამოყალიბებულ მოსაზრებას უშუალოდ მოსამართლის თაობაზე („სასამართლო გგონიათ სავაჭრო დაწესებულება“, „ყველა თქვენსავით მდიდარი გგონიათ“, „უსამართლო და დარდიმანდული დამოკიდებულება გაქვთ ადამიანის უფლებების მიმართ“).

3.6. საპროცესო კოლეგიის აზრით, გამოხატვის თავისუფლების ძირითადი სიკეთე მოსაზრებების დაცვის მაღალ სტანდარტში მდგომარეობს, მიუხედავად იმისა, ვის მიმართ არის გამოთქმული მოსაზრებები და რამდენად კრიტიკულია მათი შინაარსი. მით უფრო, რომ მოსამართლეებს, როგორც საჯარო მოხელეებს, გააჩნიათ „თმენის ვალდებულება“ მათ მიმართ გამოთქმული მოსაზრებების მიმართ.

3.7. საპროცესო კოლეგია თვლის, რომ ადვოკატ თ. წ.-ს მიერ სათანადოდ იქნა ახსნილი მის მიერ გამოთქმული მოსაზრებების შინაარსი და წინაპირობები, ასევე ის გარემოება, რომ შუამდგომლობა მიზნად ისახავდა არა მოსამართლის შეურაცყოფას, არამედ მისი კლიენტის ინტერესების დაცვას.

3.8. საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში შუამდგომლობის მიხედვით ადვოკატის გამოხატვის თავისუფლება ემსახურება სამართალწარმოებაში კონკრეტული ადვოკატის აზრით არსებულ პრობლემებზე აქცენტის გაკეთებას („არ გაითვალისწინეთ ის გარემოება, რომ სარჩელი შეიძლება დაკმაყოფილდეს; არ გაითვალისწინეთ მხარის მატერიალური მდგომარეობა; შუამდგომლობა წარდგენილია სარჩელის აღძვრამდე) და კლიენტის ინტერესების დაცვას („გთხოვთ აცილდეთ საქმეს, რადგან ამან შესაძლებელია საქმის შედეგზე მოახდინოს უარყოფითი გავლენა“). აღნიშნულ შემთხვევაში, ადვოკატის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა ზიანს მიაყენებს ადვოკატის ინტერესს თავისუფლად მიიღოს მონაწილეობა სამართალწარმოების პროცესში და გამოთქვას საკუთარი მოსაზრებები სამართალწარმოების შესაძლო ხარვეზების თაობაზე, რასაც ექნება „შემზღუდველი ეფექტი.“

3.9. „ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის 38-ე მუხლი ადგენს ადვოკატის დაცვის გარანტიებს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე გაკეთებულ განცხადებებზე, კერძოდ: „ადვოკატს არ დაეკისრება პასუხისმგებლობა იმ განცხადებებისათვის, რომელიც მან ზეპირად ან წერილობით წარუდგინა სასამართლოს ან ადმინისტრაციულ ორგანოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე.” აღნიშნული ნორმა არ გულისხმობს ადვოკატისათვის შეუზღუდავი დაცვის გარანტიების მინიჭებას. ადვოკატისათვის კანონმდებლობით მინიჭებული იმუნიტეტი ექვემდებარება შეზღუდვას იმ შემთხვევაში, თუ მისი განცხადებები წარმოადგენს სასამართლო ხელისუფლების ან მოსამართლის შეურაცყოფას ან სხვაგვარად ზიანს აყენებს სამართალწარმოების ინტერესს.

3.10. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიამ 2010 წლის 22 ივლისის გადაწყვეტილებაში (საქმე №010/10), ადვოკატის მიერ კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე გაკეთებული განცხადებები მიიჩნია ადვოკატისათვის მინიჭებულ იმუნიტეტთან შეუსაბამოდ, რადგან მისმა ქმედებებმა გამოიწვია სასამართლო დარბაზში წესრიგის დარღვევა, მოსამართლის მითითებების შეუსრულებლობა და სასამართლო პროცესის მიმდინარეობისათვის ხელის შეშლა.

3.11. საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ადვოკატი თ. წ. მოქმედებდა კანონმდებლობის საფუძველზე მინიჭებული დაცვის გარანტიების ფარგლებში. საპროცესო კოლეგიის აზრით, შუამდგომლობაში მოცემული განცხადებები მწვავე და კრიტიკული შინაარსისაა, თუმცა არ სცილდება კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე განცხადებების გაკეთების უფლებამოსილების საზღვრებს.

3.12. საპროცესო კოლეგიამ ადვოკატ თ. წ.-ს შუამდგომლობის შინაარსი შეაფასა ერთობლიობაში და არა შუამდგომლობიდან ამონარდი ცალკეული ფრაზებიდან გამომდინარე. საპროცესო კოლეგიამ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ შუამდგომლობა, კრიტიკული განცხადებების გარდა, შეიცავს მოსამართლისადმი პატივისცემის გამოხატველ განცხადებებს, როგორცაა „თქვენო ღირსებავ”, „მოკრძალებით” და „კარგად მოეხსენება თქვენს ღირსებას”. ასევე შუამდგომლობა გრამატიკულად თავაზიან ფორმატშია დაწერილი.

3.13. საპროცესო კოლეგია თვლის, რომ შუამდგომლობაში მოცემული მწვავე და კრიტიკული განცხადებები, რომელიც შესაძლოა არ არის მოსაწონი და მისაღები სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლისათვის, არ არის შეურაცმყოფელი ხასიათის და მიზნად არ ისახავს მოსამართლის ღირსების შელახვას. საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ აღნიშნული განცხადებები სარგებლობენ სამართლებრივი დაცვით გამოხატვის თავისუფლებიდან გამომდინარე.

3.14. საპროცესო კოლეგია გადაწყვეტილების გამოტანისას ეყრდნობა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსა და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის პრაქტიკას.

3.15. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში ანდესიდე ვ (განაცხადი №5493/72; 1976 წლის 7 დეკემბერის გადაწყვეტილება) დაადგინა, რომ „გამოხატვის თავისუფლება წარმოადგენს დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ

მირითად საფუძველსა და თითოეული ადამიანის განვითარების მნიშვნელოვან პირობას. გამოხატვის თავისუფლება გამოიყენება არა მხოლოდ ისეთი ინფორმაციისა და იდეების მიმართ, რომელიც სასურველია საზოგადოებისთვის, არ მიიჩნევიან შეურაცმყოფელად ან რომელთა შეფასებაც საზოგადოების მიერ ხდება გულგრილად, არამედ ასევე იმათ მიმართაც, რომლებიც შეურაცყოფენ, შოკში აგდებენ და აწუხებენ სახელმწიფოს ან მოსახლეობის რომელიმე სექტორს. ასეთია პლურალიზმის, ტოლერანტობისა და ფართო თვალსაწიერის მოთხოვნები, რომელთა გარეშეც არ არსებობს დემოკრატიული საზოგადოება.”

3.16. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლო საქმეში შკალკა ვ ოლანდ (განაცხადი №43425/98; 2003 წლის 27 აგვისტოს გადაწყვეტილება) მიიჩნევს, რომ „დემოკრატია ვერ იარსებებს, თუ ადამიანებს არ მიეცათ საშუალება თავისუფლად გამოხატონ საკუთარი მოსაზრებები საჯარო ინსტიტუტებზე. მოსამართლეები, როგორც მნიშვნელოვანი ფიგურები საზოგადოებაში წარმოადგენენ კრიტიკის ობიექტებს, რომელიც ყოველთვის არ იქნება სასიამოვნო მოსასმენი. ზოგიერთი შენიშვნა შეიძლება საფუძვლიანი აღმოჩნდეს, ზოგიც არაფრის მომცემი, მაგრამ მოსამართლეები არ არიან ნაზი ყვავილები, რომ დაჭკნენ მწვავე და ცხარე კრიტიკისგან.”

3.17. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლო საქმეში ყპრიანოუ V ჩყპრუს (განაცხადი №73797/01, 2005 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილება) დაადგინა, რომ „ადვოკატებს უფლება აქვთ გააკეთონ საჯარო განცხადებები სასამართლო ხელისუფლების შესახებ, მაგრამ მათი კრიტიკა არ უნდა გასცდეს განსაზღვრულ ფარგლებს. ადვოკატის გამოხატვის თავისუფლება არ არის შეუზღუდავი და განსაზღვრული ინტერესები, როგორცაა სასამართლო ხელისუფლების პატივისცემა, ამართლებს ამ ტიპის შეზღუდვებს. თუმცა დაცული უნდა იქნას სათანადო ბალანსი უფლების შეზღუდვასა და დაცულ ინტერესს შორის. ადვოკატზე დაკისრებული სანქცია უნდა იყოს შეზღუდვის პროპორციული, რადგან ადვოკატის მიმართ განხორციელებულ ზემოქმედების ღონისძიებებს შესაძლოა მომავალში ჰქონდეს „შემზღუდველი ეფექტი“ ადვოკატების მიერ თავიანთი მოვალეობის განხორციელებისას.“

3.18. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო საქმეში „საქართველოს მოქალაქეები გ. ყ. და ა. უ. საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (საქმე 1/3/421,422; 2009 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილება) იმსჯელა გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის საფუძვლების თაობაზე და დაადგინა: „გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის შედარებით ფართო დისკრეცია სახელმწიფოს შეიძლება მიენიჭოს მაშინ, როდესაც შეზღუდვას დაქვემდებარებული გამოხატვა უხამსი შინაარსისაა. გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვას დასაშვებია მაშინაც, თუ გამოხატვა ეწინააღმდეგება დამკვიდრებულ მორალურ ნორმებს”.

3.19. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიამ 2006 წლის 3 დეკემბრის გადაწყვეტილებაში (საქმე №2317/12/06) მიუთითა, რომ „სასამართლო სისტემა წარმოადგენს ხელისუფლების ერთ-ერთ რგოლს, რომელიც თავისი ფუნქციებიდან გამომდინარე ექცევა საჯარო ინტერესების სფეროში და რომელსაც მისი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი დატვირთვის გამო განსაკუთრებული თმენის ვალდებულება გააჩნია

საზოგადოების წევრებისა და მათ შორის ადვოკატების მიერ გამოთქმული მოსაზრებების მიმართ. საზოგადოებრივი აზრის შეზღუდვისათვის უნდა არსებობდეს მნიშვნელოვანი და არსებითი საფუძველი, რაც არ შეიძლება იყოს ცალკეული მოსამართლის გრძნობების შეურაცყოფა. სასამართლო შეზღუდვას საფუძვლად შეიძლება დაედოს სასამართლო სისტემის დისკრედიტაცია განზრახ არასწორი ცნობების გამოქვეყნებით.”

3.20. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საპროცესო კოლეგია მიიჩნევს, რომ ადვოკატ თ. წ.-ს მიერ გამოთქმული მოსაზრებები არ წარმოადგენს მის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძვლს, რადგან აღნიშნული მოსაზრებები არ არის უხამსი და არ არღვევს საზოგადოებაში დამკვიდრებულ მორალის ნორმებს.

3.21. საპროცესო კოლეგიის მიერ თ. წ.-ს მოსაზრებები შეფასდა, როგორც სასამართლოს მძაფრი და ემოციური კრიტიკა, რომელიც დაკავშირებულია კონკრეტულ საქმის გარემოებებთან და მიმართულია იყო კლიენტის ინტერესების დაცვისკენ.

სარეზოლუციო ნაწილი

საპროცესო საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა რა საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის 1-ლი ნაწილით და 24-ე მუხლის 1-ლი ნაწილით; „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლით, 33-ე მუხლით და ამავე კანონის მე-5 მუხლით, ასევე ადვოკატთა პროფესული ეთიკის კოდექსის მე-9 მუხლის 1-ლი ნაწილებით, ადვოკატთა დისციპლინური წარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ დებულების მე-7 მუხლის 1-ლი, მე-2 და მე-3 ნაწილის ა) პუნქტების საფუძველზე.

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს 04.10.10 წლის, საჩივარი №076/10 არ დაკმაყოფილდეს. საჩივრის ავტორს უარი ეთქვას ადვოკატ თ. წ.-ს მიმართ /სიითი №/ დისციპლინური დევნის აღძვრაზე.
2. 04.10.10 წლის, საჩივარი №076/10 დაუბრუნდეს საჩივრის ავტორს, თბილისის საქალაქო სასამართლოს.
3. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეს მხარეებს.
4. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის შესახებ საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

კოლეგიის თავმჯდომარე - ემზარ პაქსაძე

კოლეგიის წევრი – იური ვაზაგაშვილი

კოლეგიის წევრი – ირაკლი კორძაძია

